ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5783444

ნომერი: AR1872709

თარიღი : 14.01.2022

გაცემის თარიღი : 31.01.2022

გაცნობის თარიღი : 31.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მიმდებარე (კვარტალის) განაშენიანება და ბანერზე მიუთითოთ შესაბამისი სართულიანობა.

01... ვინაიდან წარმოდგენილ ნაკვეთზე ვრცელ ზოგადი საზოგადოებრივ საქმიანი ზონა, პირველ რიგში ქვეზონის მისანიჭებლად აუცილებელია წარმოადგინოთ კვლევა რაც გადაიგზავნება ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში განსახილველად ხოლო პასუხი გეცნობებათ დამატებით.

02... წარმოდგენილ იქნას დასკანერებული ტოპოგრაფიული გეგმა, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ სველი ხელმოწერით დამოწმებული. აუცილებელია ტოპოგრაფიული გეგმაზე დატანილ იქნას საკადასტრო კოდი.

03... წარმოდგენილ იქნას შენობა-ნაგებობის განთავსების სქემა.
ვინაიდან ნაკვეთზე ფიქსირდება გამწვანება. წარმოსადგენია საპროექტო შენობა- ნაგებობის განთავსების სქემა, ტოპოგრაფიაზე დატანით (იხელმძღვანელეთ დანართით). ხეებამდე და საკადასტრო საზღვრებამდე მანძილების ჩვენებით. იმ შემთხვევაში თუ ხეების მოჭრა ან გადარგვა იგეგმება წარმოდგენილ იქნას დენდროლოგიური დასკვნა. საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გაგაიგზავნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.